მშრომელთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით

კომუნისტი

ხარკოვის ოლქის ცენტრ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
პარასკევი, 28 დეკემბერი 1934 წ.
№ 295 (4159)

— ბაქოს ნავთის სარეწაოების მუშაკთა მოთხოვნა (1-ლი გვ.).
— ამხ. ჟდანოვის მოხსენება. ლენინგრადის პარტაქტივის კრებაზე (მე-2 გვ.).
— მრისხანე მამხილებელი დოკუმენტი („პრავდის“ მოწინავე. 1-ლი გვ.).
— ს.ს.რ. კავშირის ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში (1-ლი გვ.)
— ამხ. ტროიანოვსკი გაემგზავრა ვაშინგტონში (1ლი გვ.).
— ახალი ნიტყვა ჩვენს საგარეო ვაჭრობაში („ზაგრანიცა“-ს ინტერვიუ)
— საბჭოების რაიონული ყრილობები (მე-3 გვ.).
— მზადება კურის თავისუფალი ვაჭრობისათვის (მე-3 გვ.).
— პრესის მიმოხილვა (მე-3 გვ.).
— დამთავრდა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მე-13 სვარტაკიადა (მე-4 გვ.).
— ამხ. ბაბერ კორნის ხსოვნას (მე-3 გვ.).
— უცხოეთის ინფორმაცია: საბჭოთა კავშირი ყიდულობს ნაღდ ანგარიშზე (1-ლი გვ.).

უზრუნველყოთ პარტსწავლების მაღალი ხარისხი

გამოგაკებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, განადგურებულ, მაგრამ ჯერ კიდევ არა სავსებით მოსპობილ კულაკურ-ექსპლუატატორ ელემენტთა გაფანტრებული წინააღმდეგობის შემუსვრით აშენებს ჩვენი ქვეყანა უკლასო საზოგადოებას. დღითიდღე ძლიერდება სოციალიზმის გაშლილი მშენებლობა, რთულდება ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები.

ამ პირობებში უაღრესად იზრდება მასების პოლიტიკური ხელმძღვანელის — ბოლშევიკური პარტიის ფიგურთა როლი და პასუხისმგებლობა.

ოქტომბრის მოეთხოვება მაღალი რევოლუციური სიფხიზლე, მტრის ხამოცნობის უნარი. რარიგ ოტაბურადაც არ უნდა ინიღბებოდეს იგი, მედგარი ბრძოლა მასების ხელმძღვანელობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომუნისტის იდეურ შეიარაღებას, მტკიცე პოლიტიკურ ბამოზრდმეულობას.

განსაკუთრებით პარტიის მე-17 ყრილობის შემდეგ გაიზარდა ბრძოლა კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისთვის. პარტიული სკოლების დაკომპლექტებას და სწავლების ხარისხს რაიონული კომიტეტები ახლა უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ. ამის გამო პარტიული სწავლების მხრივ შარშანდელთან შედარებით, ფელს შესათუოდ გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები.

მიუხედავად იმისა, რომ ფელს პარტიული სწავლების საქმე საიმედოდ შედარებით უკეთ არის დაყენებული, მაინც არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია ვთქვათ თითქოს ყველაფერი თავის რიგზე იყოს. ბევრ კიბეებში, მეორე რაიონ. ... ...

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგებზე

ამხ. ა. ა. ჟდანოვის მოხსენება ლენინგრადის საქალაქო პარტორგანიზაციის აქტივის კრებაზე საკ. კ. პ. (ბ) საოლქო და საქალაქო კომიტეტების წევრთა მონაწილეობით 1934 წლის 15 დეკემბერს

საქართველოს სსრ ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო! მოხსენება ჩვენი პარტიის ც. კ-ის ნოემბრის პლენუმის შედეგების შესახებ უნდა გაეკეთებია განსვენებულ სერგეი მირონის-ძეს. ამ ტრიბუნიდან კვლავ უნდა მოგვესმინა მისი მხურვალე და მგზნებარე სიტყვა.

ამხ. კიროვის სიცოცხლე შესწყვიტა ბოროტმოქმედად ვერაგულმა ტყვიამ განსვენებული სერგეი მირონის-ძის შემოქმედებითი ძალების სრული გაფურჩქვნის პერიოდში. მისი შემოქმედებითი ძალების ეს გაფურჩქვნა მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოციალიზმის მძლავრ აყვავებასთან, რომელიც მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში და რომელიც ახე ბრწყინვალედ ყვავის ლენინგრადში—კომუნიზმის ამ მოწინავე ფორპოსტში.

ათეული პარტია, მთელი მუშათა კლასი, მთელი ჩვენი ქვეყანა ამ დღეებში მოიცავ ერთმა საერთო სახალხო მწუხარებამ. შეიკუმშა პარტიის და მუშათა კლასის გული, შეიკუმშა მთელი ხალხის გული. და მოელმა ხალხმა პარტიის და მუშათა კლასის შეთაურობით ამხანაგ კიროვის კუბოსთან დასდო ფიცი, რომ სამაგიეროს მიუზღავს მის მკვლელ ავაზაკებს, ბოლოს მოუღებს კონტრრევოლუციის ნაშთებს, ნაძირალებს ჩვენს ქვეყანაში, აღგვის ჩვენი მიწის პირიდან უყველა იმ ბინძურ ადამიანებს, რომლებიც ამოდენ ცდილობენ ისტორიის ჩარხის უკან მობრუნებას და რომლებიც ტყვეით უმასპინძლდებიან ადამიანთა ჩვენ მიერ შექმნილი ახალი საზოგადოების ახალ ადამიანებს, და ძლევამოსილად დაამთავრებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის საქმეს, რომელისთვისაც ახე მედგრად იბრძოდა ამხანაგი კიროვი (მქუხარე ხანგრძლივი ტაში).

მთელი პარტია, ჩვენი საბჭოთა ქვეყნის მთელი მუშათა კლასი, მთელი ხალხი წმინდად, თვალისჩინივით შეინახავს ამხანაგ კიროვის ხსოვნას, და იგი, ჩვენი ხალხი, უდიდეს ძეგლს აუგებს ამხანაგ კიროვს. ეს როდი იქნება მარტო მისი ხსოვნის საპირო უკვდავყოფა, რომელიც დაკავშირებულია ქალაქებისა, ოლქებისა, ფაბრიკებისა და ქარხნებისათვის ამხანაგ კიროვის სახელის მიკუთვნებასთან. ჩვენ, პარტია და მუშათა კლასი, სერგეი მირონის-ძეს ავუგებთ ძეგლს სოციალიზმის საქმეებში, კომუნიზმის ძლევამოსილ წინსვლაში (მქუხარე ხანგრძლივი ტაში).

და რამდენადაც აქ საქმე ეხებოდა ორგანიზაციულ ცვლილებას ლენინგრადის ორგანიზაციის ხელმძღვანელობის შემადგენლობაში, რაც ახე მოულოდნელად და ტრაგიკულად მოახვიეს თავზე ჩვენს პარტიას, მე უნდა განვაცხადო, რომ ვეცდები გავამართლო ის ნდობა, რომელიც გამოიჩინეს ჩემდამი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ლენინგრადის ორგანიზაციამ,—ეს არის ის უმაღლესი ნდობა, რომელიც შეიძლება გამოჩენილ იქნას ლენინგრადის ბოლშევიკ-კომუნისტების სახელოვანი ლენინურ-სტალინური ორგანიზაციის სათავეში დაყენებულ ბოლშევიკის მიმართ, — და ყოველივე ღონე ვიხმარ, რათა თქვენის დახმარებით რამდენადმე მაინც შეეცვალო განსვენებული ამხანაგი კიროვი, ვინიდან მისი მთლიანად შეცვლა, ამხანაგებო, მე არ შემიძლია (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, დარბაზი ფეხზე დგება).

ამხანაგებო, მე მინდა გავაცნო ლენინგრადის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივს საოლქო კომიტეტის და საქალაქო კომიტეტის წევრთა მონაწილეობით ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგები.

I. პურის საბარათო სისტემის გაუქმება—ჩვენი გამარჯვებების მაჩვენებელია

ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა განიხილა პურის და ზოგიერთი სხვა პროდუქტების საბარათო სისტემის გაუქმების საკითხი, სოფლის მეურნეობაში პოლიტგანყოფილებათა საკითხი და ზოგიერთი მნიშვნელოვანი მიმდინარე საქმეები. ნოემბრის პლენუმმა გადაჭრა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის უდიდესი პრობლემები და პირველ რიგში ისეთი დიდი სახალხო-სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანა, როგორიცაა პურის საბარათო სისტემის გაუქმება და პურის ფართო სახელმწიფო ვაჭრობის გაშლა. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამით შეასრულა უმნიშვნელოვანესი დირექტივა მე-17 საკავშირო პარტიული კონფერენციისა, რომელმაც წინადადება მისცა ცენტრალურ კომიტეტს და მთელს პარტიას წაიყვანონ საქმე პურის და სხვა პროდუქტების საბარათო სისტემის გაუქმებისაკენ.

პურის საბარათო სისტემის გაუქმებას და პურის ფართო ვაჭრობის ორგანიზაციას ხელი შეუწყეს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის წარმატებებმა და გამარჯვებებმა.

ეგი გამომდინარეობს იმ უდიდეს გზიდან, რომელიც პარტიამ და მუშათა კლასმა განვლეს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში. მოგიგონეთ რა პირობებში შემოვიღეთ ჩვენ ბარათები. ეს იყო 1928 წლის დამლევს, როცა ინდუსტრიამ სწრაფად იწყო წინსვლა, როცა ამხანაგმა სტალინმა წამოაყენა ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგი, როგორც საშუალება ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნისა და ინდუსტრიის და სოფლის მეურნეობის საუკეთესოებრივი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისთვის, უცხოეთზე დამოკიდებულებისგან განთავისუფლებისათვის. თქვენ, ამხანაგებო, გახსოვთ, რომ ჩვენ საბარათო სისტემა შემოვიღეთ მაშინ, როცა მრეწველობის და ქალაქების ზრდის ტემპი იდენად გაძლიერდა, რომ ჩამორჩენილ, წვრილ, დაქსაქსულ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობას არ შეეძლო საჭიროებათა დაკმაყოფილება გაზრდილი მოთხოვნილებათა [illegible] მუშა მოსახლეობისა, რომელიც მოაწყდა ჩვენს ქალაქებს და ახალ მშენებლობებს. ჩვენგან დიდ ალუფა [illegible] ბარათებით [illegible] ეს ეტაპი [illegible] ეს ეტაპი [illegible] ეს ეტაპი

1935 წლის 1 იანვარს დამკვრელი საკავშირო დღის ჩატარების შესახებ

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1934 წლის 27 დეკემბრის დადგენილება

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. 1935 წლის 1 იანვარს ჩატარდეს დამკვრელის საკავშირო დღე სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის მდგომარეობის შესამოწმებლად და ახალი მუშების, ინჟინერების, ტექნიკოსების, მეცნიერების, მოსამსახურეების ჩასაბმელად შეჯიბრებასა და დამკვრელ ბრიგადებში. ამასთან მთელი ეს მუშაობა დაუკავშირდეს საწარმოო ლაშქრობას, რომელიც ახლა ტარდება საბჭოების მე-7 ყრილობისათვის.

2. ყველა საბრიგადო საწარმოო თათბირზე ჩატარდეს დამკვრელთა საზოგადოებრივი ანგარიშების მოსმენა, მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების შესახებ, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დაზგის, მოწყობილობის, ინსტრუმენტების ტექნიკურ მდგომარეობას, სამუშაო ადგილის ორგანიზაციას და თვითეული დამკვრელის მიერ თავისი საქმის ტექნიკის დაუფლებას.

3. „წარჩინებულთა“ შემადგენლობიდან გამოიყოს ბრიგადები და შემოწმებულ იქნას ტექნიკური სწავლების მიმდინარეობა (ტექმინიმუმის წრეები, ნებაყოფლობითი წრეები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და სხვ.), ტექმინიმუმის საკონტროლო ციფრების შესრულება და საზოგადოებრივ - ტექნიკური გამოცდების ჩაბარება. შემოწმების პროცესში სასტიკი თვითკრიტიკა გაეწიოს ტექნიკური სწავლების ყოველგვარ ნაკლს და ამასთან ერთად მოხდეს ტექნიკური სწავლების დამკვრელთა წახალისება („წარჩინებულთა“ გადაყვანა უკეთეს დაზგებზე და უფრო კვალიფიციურ სამუშაოზე).

4. 1 იანვარს საბჭოთა კავშირის ყველა საწარმოში ჩატარდეს მუშათა ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა ფართო კრებები, რომლებზედაც მოსმენილ იქნას საწარმოს დირექციის და ქარხკომის თავმჯდომარის მოხსენებანი 1934 წელს საწარმოს მუშაობის შედეგების და 1935 წლის გეგმის შესრულებისათვის მზადების პერსპექტივების შესახებ. კრებებზე მოხდეს საუკეთესო დამკვრელ ინოტოველთა, ტექნიკოსთაგან მოწინავე მებრძოლთა დაჯილდოება (ადს).

საბჭოების რაიონული ყრილობები

ახალციხის საბჭოების მეორე რაიონულ ყრილობაზე

(ახალციხე, საკ. კორეს პონდენტისაგან)

ახალციხის ქალაქის თეატრის შენობა სადღესასწაულოდ არის მოკაზმული. ელნათურების შუა გამოიყუყრება დიდი ბელადის ამხ. სტალინის სურათი.

საღამოს ექვსი საათისთვის შენობის წინ დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მოდიან ყრილობის დელეგატებიც: ქვანახშირის მაღაროების საუკეთესო მუშები, დამკვრელები, ქარხნებიდან, კოლმეურნეობათა საუკეთესო წარმომადგენლები. მათ შორის თურქები, ქართველები, სომხები, ქურთები, ბერძნები. დელეგატების 18 პროც.-ს ქალები შეადგენენ. გამოირჩევიან თურქი ქალები, თავისებური ტანისამოსით და მოკრძალებული მიმოხვრით. ისინი ჯგუფ-ჯგუფად დადიან დელეგატებს შორის და გაფაციცებული ყურადღებით ათვალიერებენ ყოველივეს.

სანახაობა ბევრი რამ არის.

თეატრის მოზრდილ დერეფანში მოწყობილია გამოფენა. ლამაზად გაკეთებული დიაგრამები და ექსპონატები გვიჩვენებენ რაიონის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებას ამ უკანასკნელ 4 წლის განმავლობაში.

მიღწევების უმაგალითო აღმავლობას გვიჩვენებს ეს გამოფენა. გუშინდელ ჩარჩ-ვაჩრებისა და წვრილ ხელოსნების ქალაქს, დღეს საკუთარი ადგილობრივი მრეწველობა აქვს. რაიონის ყველა საწარმოში 500-მდე მუშაა გაერთიანებული. 1933 წელს საძირკველი ჩაეყარა ქვანახშირის საბადოების დამუშავებას. 1934 წელს ამოღებული იქნება 21 ათასი ტონა ქვანახშირი, რომელიც ხარისხით არ ჩამოუვარდება ტყიბულისა და ტყვარჩელის ნახშირს. ახალციხეში მოშობს: ორი ხე-ტყის სახერხი ქარხანა (ერთი საექსპორტო და მეორე სარეზონანსო ნაწარმის დამუშავებაზე), ეირამიკოს ნაწარმოთა ქარხანა, ალიბასტრის ქარხანა, ტექნიკური და წმინდა სახამებლის ქარხანა. და სხვა მრავალი წვრილი საწარმო.

ქალაქს არც სოფლის მეურნეობა ჩამორჩება. ვაიზარდა ნათესების ფართობი. განსაკუთრებით აღმავლობის გზას დაადგა მეცხოველეობის განვითარება. მოსავლიანობამ სარეკორდო დონის მიაღწია. გამოფენაზე საჩვენებოდ წარმოდგენილია რამოდენიმე ოლომეურნეობა, რომელთაც ერთ ჰექტარზე 190 და 200 ცენტნერი ჰარმოფილი მიიღეს.

შეიცვალა ახალციხე კულტურულად. ამ ანასანინო ორი წლის განმავლობაში გაიხსნა: 56 ახალი დაწყებითი სკოლა, 17 არასრული საშუალო სკოლა და 2 ტექნიკუმი.

○ ○ ○

თათგირი სუგტროპიკულ კულტურათა სანერგეების მოწყობის საკითხზე

მოსკოვი, 24 დეკემბერი (საკ. კორ.) 22 დეკემბერს ამხ. ლეონიძის თავმჯდომარეობით და ა.-კ კომკავშირელთა ბრიგადის მონაწილეობით შეხდა თათბირი სუბტროპიკულ კულტურათა საკოლმეურნეო სანერგეების მოწყობის ლონისძიებათა საკითხებზე. გახსნა თათბირი. სუბტროპიკების ძიაგარის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. კარდაშმა, განაცხადა, რომ ამიერ-კავკასიის კომკავშირელების მიერ საკავშირო მიწსახკომისა და სუბტროპიკების მთავარი სამმართველოსადმი წარდგენილი ბარიერში არ არის მთლიანად შერულებული ამაში ბრალი მიუძღვის არა მარტო ცენტრალურ არამედ აგრეთვე ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებსაც. საქართველოს მიწსახკომმა არ მიაქცია საკმარ ყურადღება კადრების მომზადებას. სამაღო ინჟენერიანი საკმარ რაოდენობით არ მოიპოვება. მუნიციპალ კომპანიის მომხენტში ნაჩქარევად მზადდება ასი დანა. ბოლო სოფლის მეურნეობის ჰექნიზაციის და ელექტრიფიკაციის ამიერ-კავკასიის ინსტიტუტი ამ დროს აწარმოებს, ყველაზე უფრო მისაღები სახის ინვენტარის შესწავლას.

თათბირმ. აღნიშნა ა.-კ. კომკავშირის მიერ ჩატარებული უდიდესი მუშაობა და მოუწოდა მას არ დაკმაყოფილდეს მიღწეული წარმატებებით ბევრი რამ არის გასაკეთებელი კერძოდ. საკმარია კადრების მომზადების გაუჯანსაღება თათბირმა დაადგინა კომკავშირელ ორგანიზაციებს შეიტანონ რამდენად მომზადებული საწყობების მირეალური სასარგებლოდ.

საბოლოო სიტყვაში ამხ. ლეონიძემ გაამახვილა დამაწერეთ ყურადღება საფინანსო დისციპლინისადმი მან განაცხადა: „იმაზე, თუ როგორ იქნება დაყენებული აღრიცხვა, თუ როგორ იქნება გამოყენებული რესურსები დადგენილებულია იმ საქმის წარმატება. რომელსაც ჩვენ ხელი მოვკიდეთ. ამ მხრივ სუბტროპიკული კულტურების ტრუსტებში ყველაფერი რიგზე არ არის. ეფექტიანობის, მაგალითს წარმოადგენს მიწსახკომის სუბტროპიკული მეურნეობა, რაც აღინიშნა ეს ტრუსტის „საქართველოს ჩაის“ ბრიგადაში. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვბრძოლავთ კომკავშირის ინარაზე — განაცხადა ამხ. ლეონიძემ ამოდენ ორგანიზებულად გამ. მდიბარეობს. ახალი ამოცანები ჩვენი მეცადინეობა კომკავშირთან ერთად მიმართული ერდა იქნას ი ი ითკენ. რომ უახლოეს დროში შეიქმნათ მსოფლიოში უმჯობესი ჩაის საბჭოთა ფლორიდა.

მზადება პურის ფართო ვაჭრობისათვის

მზად ვართ 1-ლ იანვრისათვის

(ტყიბული, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ტყიბულის რაიონში ფართოდ გაიშალა მოსამზადებელი მუშაობა პურის თავისუფალი ვაჭრობისათვის. მუშაობამ გადასწყვიტა დამატებით გახსნას პურის გამყიდველთა მოსამზადებელი მოკლევადიანი კურსები. დაკვრითი ტემპით წარმოებს ფქვილის საწყობის შეკეთება, თქვილის ახალი მარაგის შესანახად. თუ დღემდე მაღაზიებში იყიდებოდა სულ 4 ტონა პური, 1-ლ იანვრიდან გაიყიდება 6,5 ტონა.

მოსამზადებელი მუშაობა ასევე გაიშალა სოფლად. რაიკოოპკავშირმა პარტრაიკომის დადგენილების საფუძველზე ფართოდ მოკიდა ხელი ახალი წერტილების გახსნას სოფლად. ქ. ტყიბულში იხსნება დამატებით პურის გასაყიდი (ახალი წერტილ) ახალი ფურნეები ეწყობა სოფ. ხაწინარეში, ხრეხილში, ორპირში, კურსებსა და გურნაში. აღნიშნული წერტილები უზრუნველყოფილი იქნებიან კადრებით.

ბ. მერკვილაძე

ამხ. ლაღნიძე, პურის საუკეთესო მცხობელი, პურის საცხობის № 2 გამგე.

მზად არ არიან

(ქობულეთი, საკ. კორესპონდენტისაგან)

ქობულეთის რაიონის კოოპერატიული და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან პურის თავისუფალი გაყიდვისათვის.

ამჟამად რაიონში დღიურად ცხვება 108 ტონა პური. რაიონში არის სულ 27 ფურნე და 19 პურის გასაყიდველი წერტილი. დამატებით საჭიროა 19 პურის გასაყიდი წერტილის გახსნა, 3 ახალი ფურნის მოწყობა და 2 ძველი ფურნის შეკეთება. შესაკეთებელია აგრეთვე 9 პურის გასაყიდი წერტილი. დამატებით მთელი რაიონისათვის საჭიროა 23 პურის კვალიფიციური გამომცხობი და ამდენივე გამყიდველი.

პურის თავისუფლად გაყიდვისათვის მზადება რაიონში ჯერ ქალაქებს არ გაცილებია. რაიკომსკომის შინაგაჭრობისა და მომარაგების ინსპექტორ ჩხარტიშვილს განცხადებას თუ დავუჯერებთ, რაიონში ყველაფერი რიგზეა. პურის თავისუფალი გაყიდვისათვის მზადყოფნის შემოწმებამ კი ცხადაჰყო, რომ ჯერ ამ მხრივ გაკეთებული თითქმის არაფერია. ისეთ მსხვილ მეურნეობებში, როგორიც არის ჩაქვის, ციხისძირის სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობა 15 დეკემბრისათვის პრაქტიკულად ლონისძიებებიც კი არ იყო დასახული პურის თავისუფლად გაყიდვისათვის.

მეტად სუსტად ემზადება ქობულეთის რაიკოოპკავშირიც (გაგეთების თავმჯდომარე ელენტი). ქალაქის კოოპერაციამ ყოველდღიურად ონდა გამოაცხოს 4,8 ტონა პური. მან პური უნდა მიაწოდოს ქ. ქობულეთის მოსახლეობას, ხუცუბანის ჩაის ფაბრიკას, ხუცუბანის თემს, კვირიკეს ლიმონმანდარინის და გერანის საბჭოთა მეურნეობებს. ამისათვის საჭიროა პურის გასასყიდი 5 ახალი წერტილის გახსნა, ფურნის შეკეთება, ფურნეებისათვის სხვადასხვა მოწყობილობის (ფორმები) შეძენა. დამატებით საჭიროა 5 კვალიფიციური გამომცხობელი და პურის გამყიდველი.

დღეს კოოპერაციის ფურნეებს შეუძლიათ გამოაცხონ დაახლოებით 2,5 ტონა პური, რაც სანახევროდ ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას მომავალ თვეში. მიუხედავად ამისა, კოოპერაცია გულგრილად ეკიდება პურის გასასყიდ ახალი წერტილების მოწყობას, ფურნეების შეკეთებას და მათ მომარაგებას.

ჯ. კეკელია.

ს. ს. რ. კ-ის ცაკის პრეზიდიუმში

27 დეკემბერს ამხ. მ. ი. კალინინის თავმჯდომარეობით შეხდა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

ს. მ. კიროვის ხსოვნის უკვდავყოფა

სხდომის კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაკმაყოფილა უკრაინის ცაკის შუამდგომლობა, აღირაცხოს ადგილობრივი ორგანიზაციებისა და მოსახლეობისაგან შემოსული თხოვნებთან დაკავშირებთან, და დადგინა ქალაქ ზინოვიევსკს (უკრაინა სს რესპუბლიკა) ეწოდოს ქალაქი კიროვი და ზინოვიევსკის რაიონს —კიროვის რაიონი, რეგიონალიან ეპოხა (ეკონ. ალექსანდროვან) ქ. კიევში — კიროვის სახელმწიფო ბიბლიოთეკა და ხარკოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტს მიეკუთვნოს კიროვის სახელი. ამან გარდა, ს. მ. კიროვის სახელი მიეკუთვნა ბაკინის საავიაციო ნაწილს და ბაკინის საპარტილერიო ნაწილს.

საარჩევნო უფლებებში აღგენა

სხდომაზე კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა, თანახმად კანონისა ზურგის იმ მოლაშქრეთათვის, ხაარჩევნო უფლებების მინიჭების შესახებ, რომლებმაც ზურგის ლაშქარში ორი წლის განმავლობაში ყოფნის დროს დაჯანსაღეს დისციპლინირებული, პატიოსანი და სანიმუშო მუშაკების სახელი და შეგნებულად ეკისრებოდენ შრომას, საარჩევნო უფლებებში აღდგენა ზურგის 239 მოლაშქრე.

ორდენების გადაცემა

ცაკის პრეზიდიუმის სხდომაზე ორდენები და ხელფასები გადაეცა იმ ამხანაგებს, რომლებიც დაჯილდოებული არიან მთავრობის დადგენილებებით.

საბჭოთა კავშირის გმირის სიმბოლი და ლენინის ორდენი გადაეცა ფაბიანოვს, ბოდაიბოს, ბოლოდინს, ბაბუშკინს, ბოლოდინს, ბაბუშკინს, ბოლოდინს, ბაბუშკინ

ცენტროსოიუზთა სა უკეთესო მკოლავ. ქებული ამხ. ბეშკოვიუსი, რომელიც 50 წელიწადზე მეტია, რაც ცენტროსოიუზის კულტურათა პლანტაციებზე მუშაობს, საუკეთესო სპეციალისტად ითვლება ჩვენში. იგი ამაკე დროს არის საუკეთესო დამკვერელი და მაგალითის მიმცემი სხვა მუშაებისათვის. ამხ. ბეშკოვიუსი დამკვერელური მუშაობისათვის დაჯილდოდა ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექციამ, სადაც იგი ამჟამად მუშაობს.

სურათზე—ამხ. ბეშკოვიუსი მანდარინის ნერგით ხელში.

დამთავრდა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მე-13 სპარტაკიადა

გუშინ დათავრდა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მე-13 სპარტაკიადა. შეჯიბრებებ მონაწილეთა სიმრავლემ და მაღალმა სასპორტო ტექნიკამ დიდად გაზარდა შეჯიბრების იმტერესი შეჯიბრების უკანასკნელ ოღეს დასრულდა. პრიველობა, გათამაშება ტანვარჯიშობაში და სიმძიმეების აწევაში

მეოთე და ბესმე თანრიგის ტანმოვარჯიშეთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდნ მეორე ქართველ დივიზიის კოლექტივები. რომელნიც თავის მომზადებით გაჩინრეთ სხვა მონაწილე გუნდებისგან. კარგი შობეგდილება დასტოვეს ლენინგრადიანა და ჩრდილო-კავკასიის გუნდებმა.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია პირველი ხარისხის ტანმოვარჯიშეთა გამოსვლებმა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სხვადასხვა ნაწილის ტანმოვარჯიშეებმა საუკეთესო შეჯიბრება მიიღეს

პირველ ადგილზე გამოვიდა ტანვარჯიშობის ოსტატი ბ. რომ. ნინშვილი, რომელმაც სავალდებულო და ნებისმიერ ვარ-

95.000 მანეთი

წყალ-კითხვის უცოდინარობის სანქციონირება

სახალხო განათლების ორგანოების მიერ ჩატარებული გამოკვლევებით ირკვევა, რომ ტფილისში. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში წერა-კითხვის უცოდინარობა ოდენ ოთხ ადამიანს ეხება. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა დაიანა ტფილისის განათლების განყოფილებას დაუშვა ღონისძიებები წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ.

1935 წლის აპრილისათვის ტფილისში საერთოდ ონდა მოიპოვოს წერა-კითხვის უცოდინარობა. ამ მიზნით 1-ლი იანვრიდან უნდა დაიწყოს მუშაობა უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების ქსელმა. წ-კ უცოდინარები აპრილიდან გადაყვანილი უნდა იქნენ მცირე მკოდნეთა ჯგუფებში.

სულ წერა-კითხვის უცოდინარობის მოსახპობი ქსელის შესანახად და ამ ამოცანის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად გადადებულია 95 000 მანეთი. ამ თანხას გაიღებენ სათანადო სამეურნეო ორგანიზაციები და საბინაო ამხანაგობები.

გეგმა შეასრულეს

ფაბრიკა მკერავი № 6-მა (დირექტორი ამხ. ვაშაძე) საქ. სამკერვალო საწარმოებს შორის სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში პირველი ადგილი დაიკავა.

თებერვალ, 19 დეკემბრამდე წლიური გეგმა 111,3 პროც. შეასრულა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 2.505.000 მანეთის პროდუქციისა. ქვეყანას მისცა 2.786.000 მანეთის.

სხვადასხვა

— 28 დეკემბერს საღ. 7 საათზე მწერალთა სასახლეში დანიშნულია პოეტ სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების საღამოს გაგრძელება.

ინვალიდთა ორდენგების დროს ფიზკულტურული ტფილისის საბჭო აწყობს მეთხილამურე მოწვევიების გასვლას ბაკურიანში. გასვლაში მონაწილეობას მიიღებს 50 ბავშვი.

მოსკოვში ა.-კ. წარმომადგენლობასთან მივლინებული იყო ბუდმე სამუშაოდ ტფილისის საბჭოს წარმომადგენელი. ტფ. საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით 1-ლ ივნვრიდან აღინიშნული თანამდებობა გაუქმებულია.

ავლაბრის თეატრის მოსაწყობად, ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა ნება დართო 26 კომფ. რაისაბჭოს დამატებით გაიღოს 15.000 მანეთი.

ამხ. ბერიას სახელობის ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში ამხ. ქუმსიევის ბრიგადა ყოველ თვეობით გეგმას აჭარბებს 20 პროცენტით.

სურათზე: ქუმსიევის ბრიგადა მუშაობის მომენტში.

ტფილისის არქიტექტორთა კონფერენცია

კონფერენციის მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები ტფილისის ცალკე საკომშენებლო ობიექტების შესახებ. გამოირკვა, რომ ახალ მშენებლობათა ჩასატარებელ მუშაობაში ნაკლებად არიან მიზიდული მხატვრები და მოქანდაკენი, რაც უარყოფით დადს ასახავს შენობების ხარისხს.

კონფერენციაზე გამოსულ მომხსენებლები აღნიშნავდნენ, რომ ახალ მშენებლობას ტფილისში ახასიათებს სტილის სიკვრცე. საქართველოს მთავრობის სასახლის მშენებლობის შესახებ მომხსენებელმა დაახასიათა ის უდიდესი მუშაობა, რომელიც ამ გრანდიოზული შენობის პროექტის შესადგენად წარმოებდა. წინასწარი, ჯერ კიდევ საბოლოოდ დაუმტკიცებელი პროექტით, შენობა დაიკავებს 2 ჰექტარი ფართობის ტერიტორიას: შენობის მოცულობა იქნება 316 ათასი კუბიკური მეტრი. შენობის გაფორმების პროექტის შესადგენად მუშაობენ საბჭოთა კავშირის და საქართველოს საუკეთესო არქიტექტურული სამხატვრო ძალები სხვა დიდ შენობათა შორის ათასნაირია მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტი, სახელგამის წიგნის სასახლე, ათინა-ლომის სახლი, ავტო-ავიაციის მუშაკთა კლუბი, კულტურის სახლი და სხვ.

ვინაიდან ტფილისს არ გააჩნია შესაფერისი ძოწყობილი ფიზკულტურის სტადიონი და ეს კი აუცილებელია ტფილისის, სანიმუშო ქალაქად გადაქცევისათვის, საქართველოს პროფსაბჭომ განიზრახა ვაკეში სტადიონის მოწყობა. საამისო მუშაობა დაიწყეს, მაგრამ მერე რატომღაც მიანების თავი. შემდეგში ამ საქმის ხელი მოკიდა საზოგადოება „დინამომ“. რა მეც მუშტაიდისა და ბრძოლის ველის ვაკეში ტადიონის აწყობს დიდ სტადიონს. სტადიონი დაიკავებს 8 ჰექტარ ფართობს და ეტევა 15—20 ათას მაყურებელს. სტადიონზე მოწყობილი იქნება სპორტ-დარბაზი საცურავი აუზი და სხვა ნაგებობანი. სპეციალური დანიშნულების საადგომი. მშენებლობის ძირითადი ნაწილი ნამუშავდება მომავალი წლის 1 მაისისათვის და დაჯდება 6.500.000 მანეთი.

კონფერენციის ყურადღება მიიპყრო მოხსენებამ მაღაზიების გაფორმების შესახებ. დელეგატ ამ საკითხს არ ეტყოდა საკმარ ყურადღება არ ხდებოდა მაღაზიების არქიტექტურული და მხატვრული გაფორმებისა დღეს გაშლილ საბჭოთა ვაჭრობასა. დაკავშირებით აუცილებელი ხდება მაღაზიების გეგმიანი მხატვრული არქიტექტურული გაფორმება.

ამ საკითხს ტფილისის საბჭომ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს.

„მიჯნის ამოღება“. ოქანდაკე გ. სესიაშვილის ნამუშევარი.

სადგურ ზესტაფონის კეთილმოწყობა

ა.-კ. რკინიგზის პირველ საექსპლოატაციო რაიონში სადგურები ბათუმი და სამტრედია შედარებით უკეთესად იყვნენ მოწყობილი. უკანასკნელ ხანებში ამათ ზესტაფონი მიემატა.

ხუსტაფოლი ქალაქის საბჭომ (თავმჯდომარე ალაშა) რკინიგზის სადგურს გაუწია შემდეგი სახის დახმარება: გადასცა 4.000 ათასი მაჩეიი, 3 ტონა ცემენტი, ხე-ტყის მასალა და სხვა.

ენერგიული დახმარების შედეგად ამჟამად სადგური ხესტაფონი კარგად არის მოწყობილი. შეღებულია სადგურის შენობა. წინა ბაქანზე დგებულია ასფალტი სადგურის მოსაცდელ დარბაზებში გაკეთებულია მოზაიკა. დადგმულია მაგნავრებისათვის ლამპები. შემოაკეთეს სადგურის უკანა მხარე და გააშენეს ყვავილნარი. გაიხსნა ბარგის მიმღები კამერა და საპარიკმახერო. სამზარეულო გადმოტანილ იქნა მოხერხებულ ადგილას შეკეთდა ბუფეტი. საბილეთო სალაროს ზემოთ ჩამოკიდებულია დიდი დაფა, სადაც მსხვილი ასოებით აღნიშნულია ბილეთების ფასი რასაც ჯერ ვერც ერთ სადგურში ვერ ნახავთ. ამჟამად სადგურის განკარგულებაშია ოდენ ათასი მანეთი, ამ თანხით გადაწყვეტილია სადგურის გვერდით გაშენდეს დიდი ბაღი.

კახეთის მოედნის მოასფალტება

ტფილისის საბჭოს საგზაო სამუშაოთა ტრესტმა ნოემბრის დასაწყისს დაამთავრა კახეთის მოედნის მოასფალტება. დეკემბერში დამკვერელი ტემპებით გაიშალა მუშაობა კახეთის ქუჩის მოასფალტებისათვის. აქ მუშაობა მიმდინარეობს ორ ცვლად—დღე და ღამის განმავლობაში.

კახეთის ქუჩის მოასფალტება მთლიანად დამთავრდება 1935 წლის ივნისში.



სპეციალისტების სახლის ერთი კუთხე ბეტონიანი აივნებით.

ა.-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტის გაფართოება

მომავალი წლიდან იწყება მუშაობა ა.-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტის გასაფართოებლად. ინსტიტუტისათვის, რომელიც ძველებრიობის ელბაჭიის ბიფის მახლობლად სასწავლო ჭუჭაზე, აგებული იქნება ახალი კორპუსები და ინსტიტუტის არსებულ შენობაზე (ყოფ. რეალური სასწავლებელი) დაშენებული იქნება ახალი სართული.

ინსტიტუტის გაფართოების დაწყებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილია მთელი ამ ობრის რეკონსტრუქცია: ახლ ონმახლო ძველი შენობები აიღებული იქნება [illegible] სათანადო ნაკვეთი ინდუსტრიალური ინსტიტუტის შენობასა და [illegible] მტკვარის ნაპირს შორის, ახალი სანაპირო ჭუჭის გასაყვანად მტკვარის მარცხენა მხარეზე. თვითონ სასწავლო ჭუჭა გაფართოებული იქნება 16 მეტრამდე.

გაფართოების შემდეგ ა.-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტს მოეცემა ულმაღლესი ტიპის სასწავლო კომბინატის სახე კომბინატთან იქნება—საერ[illegible] საცხოვრებელი, ლაბორატორიები და სხვ. ინსტიტუტის გაფართოებულად ტფილისის საბჭომ გამოჰყო 3 ჰექტარამდე მიწის ნაკვეთი.

საბჭოთა კინოს ხუთმეტი წლისთავი

საქართველოს სახკინმრეწვი ფართოდ ემზადება საბჭოთა კინემატოგრაფიის 15 წლის თავისთვის.

სპეციალურად გამოყოფილმა კომისიამ უკვე შეიმუშავა სათანადო პრაქტიკული გეგმა. სადაც ყათვალისწინებულია შემდეგი:

მოეწყობა გამოფენა, მიძღვნილი საქართველოს კინომრეწველობის განვითარებისადმი. გამოფენაზე აგრეთვე გაკოტანილი იქნება საერთოდ საბჭოთა კინემატოგრაფიის ისტორიისათვის დამახასიათებელი ექსპონატები; გამოფენისათვის უკვე შეგროვილია შედარებით ძველი, პრიმიტიული და ხპარებიდან გამოსული, ხოლო მეორე მხრივ უახლესი და გაუმჯობესებული კინო-აპარატები, კინო-მოწყობილობები და ფილმები. გამოშვებული იქნება ალბომი გამოჩენილ რეჟისორების, მსახიობების და სხვათა სურათებით.

დაჯილდოებული იქნებიან საუკეთესო კინო-მუშაკები, მსახიობები და რეჟისორები. მასობრივი დაჯილდოების მიზნით გამოშვებული იქნება სპეციალური ჟეტონები.

ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით კინო-სურათები „არშაულა“ (რეჟისორი დავით როხდელი) და „მდინარის იქით“ (რეჟ. შ. ბერიშვილი) ტექნიკურად სარეკონსტრუქციოდ გადაფორმდება და ზეიმის დღეებისათვის დიდ წყობა მათი დემონსტრაცია ტფილისში.

გამოვა სპეციალური გაზეთი „კინო-მუშაკი“, სადაც გაშუქდება კინომრეწველობის მდგომარეობა მომავ რესპუბლიკებში (უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი). ზეიმზე მოწვეული იქნებიან ამ რესპუბლიკების დამსახურებული კინო-მუშაკები, ხოლო საქართველოდან იქ გაემგზავრება სპეციალური დელეგაცია ჩვენი მიღწევების, გაცვლისა და გაზიარების მიზნით.

ალ ტფილისის დამკვერელ მუშებისათვის მოეწყობა მნიშვნელოვან და საინტერესო სეანსების [illegible] ამ ობრის [illegible] ეროვნულ ენებზე [illegible] ეროვნულ ენებზე [illegible] ქალაქებში.

ჭიათურის მუშაკებმ მოიგეს „ჩაპაევს“

ჭიათურა (სპეც. კორ.). ჭიათურის 9000-იანი მაღაროელები უდიდესი ინტერესით ადევნებენ თვალ-ყურს პრესაში ფილმ „ჩაპაევის“ გასაკეთებელ წარმატებებს. არაჩვეულებრივად არის გაჯერებული მუშაობა ფილმის ორგანიზებულად ხახერის სტუდიაში. [illegible] მათ [illegible] ინდივიდუალური [illegible] ინოს ოლენლობის გამო ამის საშუალება არ ჭქონოდათ ახლა ჭიათურაში ოიჩერეტეკური ტემპით მიმდინარეობს ასეთი კინოს მოწყობა. ხმოვანი კინო გაიხსნება 5 იანვარს. ამავე დღისთვის მოწვეულია დამკვერელთა შეკრებაც.

ბოთაროელებს დიდი სურვილი აქვთ, რომ ეს მათთვის ძნიშვნელოვანი დღე აღინიშნოს ოდიოსეს ისტორიული ფილმის ჩვენებით.

ამ მიზნით რაიპროფსაბჭომ 9000 მაღაროელის სახელით ოფიციალ ბიმართა „სახკინმრეწველს“ რომ ამ დღისათვის ჭიათურაში ჩამოიყვანოს „ჩაპაევი“

„სახკინმრეწველს“ დირექციამ უხდა დააკმაყოფილოს ჭიათურის მაღაროელთა თხოვნა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის დეკადა

დაწყებით და საშუალო სკოლებში საზამთრო არდადეგების დროს (15-დან 31 ანერიადე) მთელ საბჭოთა კავშირში ჩატარდება მოზარდ მაყურებელთა თეატრების დეკადა. დეკადის ჩატარებაში მოსწავლე ახალგაზრდობისა და მათი მშობლების ჩასაბმელად მოზარდ მაყურებელთა თეატრები დეკადის განმავლობაში გამართავენ სპეციალურ წარმოდგენებს ნორჩი და მოზარდი მაყურებლებისათვის და ცალკე მოზრდილთათვის. გადაწყვეტილია აგრეთვე ჭშობლების და მოზარდმაყურებელთა თეატრების მუშაკთა შეხვედრების მოწყობა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრების ასეთივე დეკადა ჩატარდება გაზაფხულზე, ხოლო ზაფხულზე გადაწყვეტილია ამავე თეატრების საკავშირო სპარტაკიადის ჩატარება მოსკოვში.

გეოგრაფიები, ისტორიის და სხვ. საგნების შესწავლას ამ ბოლო დროს ჩვენს სკოლებში უდიდესი ყურადღება ეპყრობა. საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სახკომსაბჭოს მაისის ისტორიულმა დადგენილებამ ამ მხრივ დიდი გარდატეხა გამოიწვია ჩვენს სკოლებში.

სურათზე—ტფილისის მე-18 შრომის სკოლის მე-7 კლასის მოწაფეები გეოგრაფიული რუკების სამხაზველოს კაბინეტში მეცადინეობის დროს.

ბიბლიოგრაფია

პანტელეიმონ ჩხიკვაძე „ნაბიჯები“

პ. ჩხიკვაძემ სულ მოკლე დროში საპატიო ადგილი დაიჭირა ჩვენს მწერლობაში. მას წეუძლია მწერლის ლრმა ბედვით მოვლენის მიკვლევა; ჩვენ ვიცნობთ ჩხიკვაძისს: „ორიონელებს“, „ამბ. ბორია ბუთხუზს“, „რომანტიკულ ამბავს“ და სხვა მოთხრობებს. მაგრამ „ნაბიჯები“ ყველ ამ ნაწარმოებებზე მაღლა დგას.

თწლეული სულ რამდენიმე წელში გაჩნდა და თანდათანობით ეფეფლება ფიფალ მხატვრული ოსტატობის ხერხს.

ეხრაია ხუთი წლის რევოლუციამ ღარიბ გლეხობაში გამოაჯვეების უკვდავი ბედი დანერგა. ამ პერიოდს ეხება, პ. ჩხიკვაძის „ნაბიჯები“. ამ ნაწარმოებში მწერლის სწორი ხედვითა და ალღოთი მოცემულია მდიდარი სურათი გურიის რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან. „ნაბიჯები“ გურიის 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის განვითარებას ყველადაყალ ბოლდეს.

გურიის მიგარდნილ კუთხეში, სოფლებში, რევოლუციურ ბრძოლის გაჩაღება მწერალმა თავიანა ნაწარმოებს ქვაკუთხედად დაუდვა.

სურების მუშებში ხელსაყრელი პირობები იყო რევოლუციური იდეების გავრცელებისათვის; ეს მომენტი მოხერხებულად გამოიყენა პ. ჩხიკვაძემ თავისი რომანისათვის და მოგვცა ამ ისტორიული სინამდვილის ზატვრული გაფორმება, ლომისკარელის ხატს გამ ტოსებული კლასები იყენებდა ხალხს დასაშინებლად. ხალხის ამ ბურჟუაზიულ განათვისუფლება ძალიან რევოლუციურ მოძრაობას შეეძლო. რაც ნაწარმოებში ჩვენთან ერთად არის ასახული.

ნაწარმოების გმირები თითქმის ყველა რეალურად არსებული პირებია. მაგ. შერეფაძე, ქერიმი, შეფარდანე, კასრაძე, ელიოტი და სხვ. რაც შეეხება ლადარიას, ი. მწერალს მიერ შექმნილი გმირია. რომელსაც რეალობაში შესატყვისი ჰყავდა, ნაწარმოების თითქმის ყველა გმირი ლიტერატურულ ტიპის სიმაღლემდე აყვანილია.

გურია სიმეგრელის მოძრაობის ერთიანი ნაწილთან დაკავშირება მხატვრულად კარგად: შესრულებული. ნაწარმოები ხალისით იკითხება და გურია - სამეგრელოს რევოლუციურ მოძრაობას ღრმად განაცდევინებს მკითხველს. ნინოშვილის შემდეგ მწერლია ასეთი ძლიერი, მხატვრული ხელი გლეხის ცხოვრებას არ შეხებია.

ამ მხრივ, „ნაბიჯები“ ჩვენს მწერლობაში მნიშვნელოვან ძეგლებად უნდა ჩაითვალოს. „ნაბიჯები“ ისტორიული რომანია ეს იგი 624 გვერდს შეიცავს. ნაწარმოებში [illegible] ერთ ადგილებიც, მაგ. გურიის [illegible] ადგილთან კავშირი არა აქვს, ანდა მოკლეა [illegible] ოსტატობით [illegible] ოსტატობით [illegible] ოსტატობით